

თეატრი

1889, № 22, 23 & 24.

№ 22, 23 & 24.

ოქტომბრის 1.

გაზეთი ღირს: ერთს წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე ნომერი—15 კ.

ხელის-მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисть, № книжный магазинъ Григорія Чарквіани, Роману Паницхавა.

რედაქცია არ კისრელობს, წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდესთ მოწერილი სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

ქართული თეატრი
სმშაბათს, 31 ოქტომბერს

ქართული თეატრის
არტისტები წარმოადგენენ

I

უნდა გავიყარეთ
კომედია 3 მოქმედ. თხზ.
დ. სარდუსი.

II

სტუდენტები

მიროცეოი სუდიასთან
ერთ მოქმ. თხზ. დ. სო-
სლანისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი
საფაროკისა, გაბუნია-
ცაგარლისა, კასიძისა,
ჩუბუჩიშვილისა, ბ-ნნი
აბაშიძე, გუნია, ცა-
ხაძე, კედევანოვი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეუ-
ლებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.

თბილისს, სექტემბრის 30-ს.

აღამიანის ბუნება ისეთია, რომ ბევრ სიკეთესთან ბევრი სიადრეც აქვს თან და-
ყოლილი. კეთილის ქმნა, მართლის
თქმა ისე არ უნდა გვიკვირდეს კაცი-
საგან, როგორც მისი ცდა და წადილი,
რომ ბოროტი, უკეთური რამ არ ჩაი-
დინოს, სიმართლეს არ უღალატოს.
სრულ-ყოფაც აღამიანისა ის არის, რომ
იმ ბოროტების, უკეთურების დასაბამს,
თან დაყოლილი რომ აქვს, განვითარება
არ მისცეს.

ამ უკეთურების წყაროს ნაკადად,
სხვათა შორის, შური და მდაბალი
გრძნობაც ითვლება. სასოვადოდ რო-
ვთქვით, შური თვითონ მდაბალი
გრძნობაა, სხვისი საკუთრების დაპატ-
რონების სურვილია და გულის წუხი-
ლი, რატომ იმასა აქვს და მე არაო,
მაგრამ მდაბალი გრძნობა-კი კერძოდ

ისეთი რამ არის, რომ აღამიანს ხან-და-ხან სენდისის მოღალატედ
გამოიყვანს, პირწყალს გაუშრობს, ერთიან სიტყვით ზნეობას
დაუკარგავს.

ჩვენგან აღებული ორივე გრძნობა ხშირად შევხვდებოდა ადამიანში, განათლების რა ხარისხზედაც არ უნდა იდგეს იგი. ამ გრძნობათა პატრონი, უბირი კაცი, ბუნების ამარად პირუტყვად მცხოვრები იმდენად გასაკიცხი არ არის, რამდენადაც განათლებული ადამიანი, რომელსაც თავი მოაქვს სწავლა-ცოდნით, ბევრს სიკეთეს და სიმართლეს ხარჯავს ერთად და საქმით და გულისით არის იგივე პირუტყვი ადამიანი, რომელსაც სწავლა თავის დღეში არ მიუღია და სცხოვრებს ისე, როგორადაც მას ჩააგონებს საკუთარა მისი გულის-ხმა.

ამ ორ გრძნობას ხშირად ბუდე აქვს მწერლობაშიაც და მით უმეტეს სამწიგნობროდ უნდა ჩაეთვალოს მათი მოვლინება, როგორც საზოგადოების იმ წრეში; საიდგანაც უნდა მოკრთოდეს კეთილ-ზნობისა და მეცნიერების შუქი.

მწერლობაში იგინი ფეხს იკიდებენ, როცა ბრმა შემთხვევის წყალობით გამოსულან ჭკუის-მონოპოლისტები უნიჭო მოღვაწენი, რომელთაც პირველობის სახელი შერქმევიათ-ამისთანა მოთავე კაცებს ნაკლულოვნებაც ღირსებად ეთვლებათ და, თუ ცოტაც არის, შრომა მაინც აიტანეს, ნიჭიერადაც ჩასთვლიან.

აქილამ იწყება მათი ამაყოფა, თავ-მამწონობა, უკადრისობა, მჩემებულობა და ყველივე მისთანა, რაც შემთხვევით და უკანონოდ მოპოებული სახელის შერჩენისათვის მიიჩნიათ საჭიროდ. საზოგადოება დიდ-ხანს ევრა გრძნობს თავის მოტყუებას და გაკერპებულ მოღვაწეთა ყოველი სიტყვა ბაჯალლო ოქროდ მიიჩნია.

ამ კერპებს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვთ: ნიჭიერს ვერ იმეგობრებენ, ვერ შეიბძენ მათ საერთო უღელში, რადგან საკუთარის სისუსტის მკრძნობელნი შიშობენ, ვაი თუ დაეძაბუნდეთ, სახელი დაეკარგოთ, უღონოდ გვიცნონ და ბოლო მოგვეღოსო. ამიტომაც ცდილობენ იგინი ყოველის ღონის ძიებით ნიჭიერი თანამშრომელები თავიდან მოიშორონ და მათებრ სულთ გლახაკის მეტი არაიენ გააქაჭანონ ახლო, არაიენ მიიკარონ. ამ გვარად მწერლობა უფარდება



ხელში ყოვლად გლახაკებს, რომელთა შორის გაკერპებული მოთავენი არა თუ ნიჭიერ მწერლებად, არამედ ფილოსოფოსებადაც-კი მოჩანან. მე მკითხვე თუ გასაეალი არ ექმნეს მათ სიბრძნეს: სიტყვას ვერ მოუჭრიან და ნაწერს ვერ დაუხევენ. რაც არ ჰკითხოთ, ყველას პასუხს მოგცემენ თავისებურად ეს თავს გასული ჭკურს-კოლოფები და, თუ რამ უცნაურია, მის ახსნასაც-კი შეუღდებიან, რადგანაც იციან, რომ მობანე ბევრადა ჰყავსთ.

ეს დამქაშები, ლუკმა-პურის დაკარგვის შიშით სულ სხვაა. ნ. ირ წესსა და რიგს მისდევენ: პირში ქებას, ჩუმად ყოფას, მუდამ თანხმობის გამოცხადებას ავის და კარგის გიურჩეველზედ ისე შეუღდებიან, რომ სხვა გარემოებაშიაც რო ჩაცვივდენ, მაშინაც ვერ გადურჩებიან შეჩვეულ ჭირსა. შეიძლება გულითაც სძულდესთ და ზურგს უკანაც აგინებდენ ამ გვარ ბელადებს, მაგრამ თამამად, გაბედულად ვერაფერს იზმენ.

ეს მოგლინება შესაძინევი და მავნებელი არ არის, თუ მწერლობა მრავალ ფერად აყვავებულია. მაგრამ იგი სიკვდილის ნიშანია, როცა მწერლობა, გონებრივის მოძრაობის საწყაო მეტად პატარაა და მასთან ჭკუაც გამონაპოლიზებულია.

ამ დროს ყოველი საზოგადო აზრი უძრავად არის, შეუძინეველად დაბადებული შეუძინეველადვე კვდება; რაც იწერება, იგია მხოლოდ გაკერპებულ მოთავეთა და მათ დამქაშთ ნაოცნებარი.

პარიჟელი ყავახანელი

ასალი ამბავი

მოგვიყვას სოფიერში ცნობები ქართულ თეატრზე ამ წლის განმავლობაში. გუნას ბროშურადამ!

მოთაკებად დრამატული საზოგადოების და სიმუდამო დასის შედგენისა ყოფილან: დ. ი. ყოფიანი, გ. თუმანიშვილი, და ერისთავ

ვი, ნ. ავალიშვილი, ი. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე და სხვანი. პირველი წარმოდგენა გაუმართავთ 1879 წ. სექტემბრის 5 და წარმოუდგენიათ ვ. ბ. ჯორჯიძის კომედია: „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. თავიდანვე გამოჩენილან ნიჭიერი არტისტები; ქსენი მ. საფაროვი, და გაბუნია, ბბ. ვ. აბაშიძე და კ. ყიფიანი. მერმე თან-და-თან მომატებიათ მათ სსგებიც, ასე რომ სულ ამ ათი წლის განმავლობაში გამოჩნულან სამუდამო სცენაზე და ჟილდოც მიუღიათ თამაშობისათვის 25-მდე ქალ-არტისტს და 40-მდე გაყ-არტისტს.

გამართულა სულ 350 წარმოდგენაზე მეტი, წელიწადში 35, წარმოუდგენიათ 225-ზე მეტი პიესა. პირველ ხარისხის არტისტებს შეუსრულებიათ 250-დამ 400-მდე (ვ. აბაშიძე) როლი.

კასსაში შემოსულა სრულიად 75,000 მანათამდე, ნაღდად 40—45,000 მან. პირველ ხარისხის არტისტებს რგებიათ 3,—600 მანათამდე, ... წელიწადში 300—600 მანათი!

ამ თვის 26 ქართველ არტისტების ამხანაგობამ წარმოადგინა „მეორედ გაუმწვილება“, ნეკეეისის დრამა, დავით ერისთავისგან გადმოქართულებული და დრამატიული ეტიუდი „ტუღაზი იგრძნო“. საჯსი მეტად ცოტა დაესწრო, ვინც იყო, ისიც მოსული ქართველობა. ივერიამ გვაუწყა, რომ „მეორედ გაუმწვილება“ კარგს შთაბეჭდილებას „ახდენსო“, მაგრამ მოწმე ვართ, პიესას სიკეთის მეტი ანაფერა დაუთესია, არა თუ კარგი შთაბეჭდილება წაესდინა.

ქართული თეატრი

(„მეორედ გაუმწვილება“, ოთხ მოქმედ. დრამა ნეკეეისისა, თარგმნილი დ. გ. ერისთავის მიერ)

სამშაბათს სადამოს, სექტემბრის 26, არწრუნისეულის-სათავედ. აზნაურო ბანკის თეატრში, დაიწყო ქართველ არტისტების ამხანაგობის ქართული წარმოდგენების სეზონი, ჩვენში

კარგად ცნობილისა და ნიჭიერის არტიტის, ბ. ვ. აბაშიძის მოთავეობით. წარმოადგენას ცოტა საზოგადოება დავსწრო: პარტერი სანახევროდ დაცარიელებული იყო, რაიოკილამ მერცხლის ბარტყებსავეით თავი გადმოეყოთ ჭრელი ხალხის მცირე გროვას.

წარმოადგინეს რუსულიდგან გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმ. დრამა „მეორედ გაყმაწვილება“. ეს ღირსეულის ხელოვნებით დაწერილი დრამა ღირს იმად, რომ შეეჩერდეთ და იმისი შინაარსი და ხასიათი მოკლედ მაინც არის გაეცნოთ ჩვენს მკითხველებს.

დიმიტრი სოსლანიანს, ხანში შესულსა და მაღალის ზარისხის მოხელეს, თავის საკუთარს სახლში მოწვეული ჰყავს შვილის აღსაზრდელად გიმნაზიაში კურს დასრულებული ყმაწვილი ქალი, მარიამ (ქ. კახიძისა). დიმიტრი სოსლანიანი (ბ. ყიფიანი) დაგევილისა და გამოცდილის ხერხებით შორიდგან ეტრფის ამ მასწავლებელს-ქალს და, ბოლოს, სიყვარულსაც უცხადებს. ღარიბის ოჯახის შვილი, ყმაწვილი ქალი, ბედნიერად ხდის თავის თავს, რომ ასეთი ბედი ტრიალდება იმის თავზედ, გავლენიანი მოხელის ოჯახსა და ქონებას შემდეგში დაეპატრონება და მომავალი ცხოვრების გაუმჯობესობის ფიქრი ძალას ატანს სოსლანიანს თანხმობა განუცხადოს. ამის შემდეგ, დიმიტრი სოსლანიანი,—რაც უნდა ესთქვათ-საქმიანის ჭკუის პატრონი, თუმცა მხოლოდ პირუტყული მოთხოვნილებით გატაცებული, სრულიად ჰკარგავს ცხოვრებაში სახელმძღვანელო აზრს, „ჭკუაზედ აღარ არის“ —როგორც თითონვე ამბობს—აეიწყდება ოჯახსა და კეთილ-შობილს შვილებზედ ფიქრი. პირიქით, მამა შვილებთან პირ-მქუშე და დაღვრემილია, წინანდლებერ აღარ ეალერსება თავის პატიოსანს ვაჟს-გიორგისა (ბ. გუნია) და მშვიდს, წყნარსა და სათნო არსებას, თავის ქალს, ანეტასა (ქ-ნი საფაროვისა).

ქალ-ვაჟი სწუხს და იტანჯება, ერთის მხრით, მშობელი მამის ასეთი საქციელითა და, მეორეს მხრით, ელისაბედის (ქ. ავალიშვილისა), დარბაისელის ოჯახის შვილის, საყვარელი

დედის აუტანელის მდგომარეობით. ელისაბედსა და იმის შვილებს, გიორგისა და ანეტას ანუ გეგებს და აღნაძე (ბ. ცაგარელი), ელისაბედის ძმა, მაგრამ ამაოდ: ელისაბედის დაქრილი, დაკოდილი გული ვერ გამთელდება, გიორგის სიცოცხლითა და კეთილ-შობილური სიამაყით საესე გულიდგან აკანკალებულს, ათრთოლებულს ხმებს წყევლა-კრულვისა და მუქარების სიტყვები ამოაქვს.

და აი, შემოდის დიმიტრი სოსლანიანიცა, თავის ცოლს ყოველისფერს უმკლავნებს და, რაკი ცოლი თანხმა არ გაუზდება, რომ მიზეზები გაყრისა ელისაბედმა იტიერთოს თავის თავზედ, ეს „მეორედ გაყმაწვილებული“, გონება დაკარგულ, მოხელე ელისაბედსა და მთელს ოჯახს უბედურებას და მწარე განსაცდელს უქადის. ამ დროს შემოიჭრება გიორგიც და ეს მუქარის მომენტიც თვალის დახამხამებაში თავდება იმით, რომ სამთავე გულის ფიცარი მეტის-მეტს აღეღებულს გრძნობას დაუკავებია.

მესამე მოქმედება ახალ შეყვარებულის ქალის, მარიამის მდიდრულად მორთულს სახლშია, სადაც დრო გამოშვებით თათბირობს ორი სხვა-და-სხვა ხნისა, სხვა-და სხვა აზრის, მაგრამ ერთის საგნის მსახური შეყვარებულნი: დიმიტრი და მარიამი.

მარიამის ტურფად ამწვანებულს წალკოტს მოადგება გულ დამწვარი ელისაბედი, თავისი ქალიშვილის ანეტას მკლავზედ თავ-შემაგრებული და შაფებში გახვეული. იგი აქ მწუხროდ მოსთქვამს თავის ცხოვრების უკულმა დატრიალებას, საყვარელი შეილგბის მწარე ზვედრა, თავის ქმრისაგან ასე სასტიკად დასჯას და პროტესტს უცხადებს თავის მდგომარეობას, მაგრამ გაშედიდურებული მარიამი, რომელსაც დიმიტრისაგან აღრა სწამს არაეისი, მშრალისა და გაკაპასებულის სიტყვებით ეყარობა ელისაბედს. ელისაბედი ველარ ითმენს და შორდება მარიამს. ამ დროს შემოდის აღელვებული გიორგი; იგი უბრძანებს მარიამს თავიდგან მოშორებასა და სიტყვის მიცემას, მაგრამ გააფთრებული ქალი, რასაკვირველია, აინუნშიაც არ

იღებს ყმაწვილი კაცის სიტყვას და ეს შეცდომა მარიამის მხრით ისეთი ჩამუხლისთავეა იყო, რომ შემთხვევით სიცოცხლე დაუგდა. შეწუხებულის და აღელვებულის ჭაბუკის გულს ეგლა აკლდა: იგი თავს ველარ შეიმაგრებს, იღებს ლეეოლ-ფერს და ჰკლავს მარიამს.

მეოთხე მოქმედება სწარმოებს სასტუმროში, სადაც სატუსალო მაზარაში გახვეული გიორგი გულში იკრავს სოსლანიანთ გამდელს, ისახარს (ქ. ჩერქეზიშვილისა). დედას და ბიძას სატუსალოში წახავს გიორგი, რომელსაც თავი მაგრად უჭირავს, მაგრამ შეწუხებულს დედას შინაც ვერ ამშვიდებს, ვერც შვილი, ვერც ელისაბედის დარბაისელი და თავ დაჭერილი ძმა, დავით აღნაძე. გიორგის წაყვანის ქამიც მოახლოვდა და შაყურებელის თვალის წინ იხატება საშინელი, სულის შემგუბებელი, ღრმა მწუხარება... გიორგი მიჰყავთ ციმიბრს...
 ეს არის მოკლედ შინაარსი ღრამისა.

ერთი უმთავრესი მოთხოვნილება ხელოვნური, სიტყვაკაზმულის ნაწარმოებისა და, მაშასადამე, ღრამისაც იმაში მდგომარეობს, რომ მასში გამოყვანილი და სურათად დახატული მომქმედი პირები აღებული უნდა იყვნენ ნამდვილის, რეალურის ცხოვრებიდან და ამ ცხოვრების განცალკევებული მხარეები იქეთის ლოგიკურის სისტემითა და შეთანხმებით ჩამოსხმული, რომ არც ერთი უბრალო, მარტივი აზრი და ხასიათის თავის ჩუნა მომქმედი პირებისა არ გამოვიდეს ყალბი და უშინაარსო ფანტაზიით განზრახ შეთხზული.

ღრამის პირთა მოქმედებაში ჩვენ უნდა გარკვევითა და ნათლად ვხედავდეთ ჩვენს საკუთარს თავს, ჩვენს ახლო ნაცნობთა და ნათესავეებს, გარეშე მორტყმულ სწოგადობის მწვერთა ხასიათს, გრძობებს, ყოფა-ქცევასა და მიმართულებას. ამიტომაც, რასაკვირველია, თვით გამოხატული, გამოქანდაკებული მოქმედთა ყოფა-ქცევა, მოქმედება და, საზოგადოდ ის დრამატული მდგომარეობა, რომელშიაც ავტორს ჩაუყენებია მომქმედი პირი, სრულიად მოკლებული უნდა იქნეს განყენებული მოძღვრებისა და უაზრო, მშრალის სენტენციების სცენიდან სროლას...

ამ მხრით, ღრამა „მეორედ გაყმაწვილება“ ხელოვნურად ირის დაწერილი, ნამდვილს, რეალურს ცხოვრებასთან შეთანხვებული. იგი ალბულის აზრის ბოლომდე გატარებით ღრამა ზედმოქმედებასა და შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელს საზოგადოებაზედ. მართალია, ალბულის აზრი აქტორისა თავის-თავად მართალია და ცხოვრების კეშმარიტ სურათთან ახლო არის, მაგრამ ცალ-ცალკე, ნაწილ-ნაწილად, რომ განეკეთოთ და გავარჩიოთ ეს ნაწარმოები, იგი მაინც ვერ წარმოკვიდგენს სრულს სურათს რომელიმე ტიპისას, ფსიხოლოგიურად ხასიათების შემუშავებისას... საზოგადოდ, რუსების ახალგაზდა მწერლები ამ მხრით კოჭლობენ, მაგრამ ან-კი რა ჰქნან: გარემოება, დღეინდელი ცხოვრების პირობანი, წინანდელი მწერალთა ცხოვრების პირობებთან შედარებით, ხელს არ უწყობენ და არ შევლოან ნიჭის განვითარებასა და ღრმად ხაგნის დაკვირებას... მაინც დაწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ღრამა „მეორედ გაყმაწვილება“ ყურადღების ღირსია და ჩვენს ღარიბს რეპერტუარში თვალ-საჩინო ადგილს დაიკრს.

დიმიტრი სოსლანიანის როლს თამაშობდა ბ. ყიფიანი, რომელმაც ხელოვნურად დახატა მაღალის ხარისხის ჩინოვნიკის ხასიათი, იმისი მედიდური, საზღვარ დაუდებელი თვითნებობის სურათი. ჩინოვნიკს მოსპულეგია წინანდელი ცხოვრება და პირუტყულის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ეტანება იმას, რაც მის ხანში შესულ ადამიანისა, წვრილი ცოლ-შვილის პატრონისათვის მდაბალს მიზიდულეებას შეადგენს. საზოგადოდ, თანამედროვე ფიზიოლოგთაგან აღიარებულია, რომ შუა ხანს იქით გადასული, შეუკნებელი და განუვითარებული კაცი ახალგაზდა ქალის შერთვის სურვილს ბავშვზედ უფრო მოუსახრებელსა და უგვანო მდგომარეობამდის მიჰყავს; იგი კერპია და დაუნდობარი და საკუთარი ცხოვრების ტვინ-გაშვებულსავეთ შემაცქერალი. დიმიტრიც შეშლილია ერთს აზრზედ და ეს აზრია იმისი მანათობელი სვეტი, რომელსაც ემორჩილება მთელი იმისი შერყეული არსება. იმას ვერ წარმოუდგენია და ეს, შესაძლებელია, წარმოადგენილიც

ჰქონდეს, მაგრამ ცნობიერების მაღლიანს საზღვრებში ვერ ატარებს, თუ რა ბედი და რა ცხოვრების განსაცდელი მოელის მრთელს ოჯახს იმისი დაუფიქრებელი და უაზრო საქციელით. იმას ბოლომდე გაუვლია ცხოვრებისა გზა, მას სცემს თაყვანსა და თამამად, გულ-ახლად იძახის კიდევ, რომ „ცხოვრებას ყველაფერი მოსთხოვე, რის მოთხოვნასაც-კი შესძლებ“, რათა განუსაღვრელის პირადის ანგარიშებით იცხოვრო ამ წუთი-სოფლადა. დიმიტრი მაინც უგულო, ცრუ კლასიკის ლაყე ტვინისა და რომანტიკის მოცდენილი ფანტაზიის მიერ შეთხზული ბოროტების მატარებელი არსება არ არის. მას შიგ ცხოვრების კაცის გული სცემს რეალურის წადილებითა და მოთხოვნილებით. ბ. ყიფიანი თამაშობდა სასტიკად აწონილის, დაფიქრებულისა და შეხამებულის მიხერა-მოხერით და გამომეტყველებით, მაგრამ, ჩემის აზრით, ამ გვარი თვითნებობისა და უხასიათო, შერყეული მომქმედი პირის დასურათება ბ. ყიფიანის კეთილ-შობილისა, მრთელის და განუყოფელის ბუნების საქმე არ არის.

ქნ. ავალოვისა შეგნებით და დაკვირვებით თამაშობდა ქმარისაგან მიტოვებულის ცრლის, ელისაბედის როლს, რომელიც თანაბრად და მწყობრივ გაატარა, თუმცა, ცოტა არ იყოს, პირველ მოქმედებაში სუსტი სცენა გამოუვიდა: სცენაზე იმის მიხერა მოხერასა და ხმას აკლდა ძალა და იერი.

კარგი და მოხდენილი იყო გიორგის როლში ბ. გუნია, რომლისადში სიმპატია და თანაგრანობა საზოგადოების მიერ იწვევდა გამამხნეველს ტაშის ცემასა.

მარიამის როლში გახლდათ ქ. ბ. კახიძისა, რომელიც აქაიქ, ალაგ-ალაგ, სუსტად და გაურკვეველად გეიხატავდა ახალგაზდა მასწავლებლის ქალის როლს, მაგრამ ისპოზა, რომელიც მან მიიღო მაშინ როდესაც თხოვდება, ნამდვილად ხატავდა სურათს და ფსიხოლოგიურს სინამდვილესთან ახლოს იყო.

საუცხოვო იყო ნამეტურ ქ. ბ. გაბუნია-ცაგარელი-სა ბაბაღეს, ელისაბედის მეგობრის, როლში და ბატ. ცაგარელი, რომელსაც სწებთან შეერთებით თავისუფლად და ღირსეულად ეჭირა სცენაზე თავი.

საზოგადოდ, არტისტები ამ დრამას მწყობრად და შეგნებით თამაშობდნენ, ასე რომ შესაფერი ტანისამოსისა და როლების კარგად ცოდნითაც სამშაბათის წარმოდგენა ერთი მშვენიერად გაწერთილი და სიმპატიური დასის მოქმედება იყო. მაგრამ რა უნდა გააწყონ, თუნდა ნიჟიერმა არტისტებმაც, იმ საზოგადოებასთან, რომლის აპათიას და გულ-გრილობას, საერთოდ სამშობლო საქმისადმი, საზღვარი არა აქვს...

ყოველთვის არტისტების თამაშობის დამფასებელი ყურადღებას უნდა აქცევდეს გარეგან მიზეზებსაც, რომელთაც არტისტების ნიჟთან არავითარი კავშირი არა აქვთ, მაგრამ დიდს ზედ-მოქმედებასა და შთაბეჭდილებას მოახდენს ხოლმე იმათს თამაშობაზედ. საზოგადოების მიერ გულ-გრილობა, ახალ-გაზდა არტისტებს კი არა, სოფლიდგან გადმამდგარს, დაყუდებულს ბერსაც-კი მოჰკვეთს და დაასუსტებს.

ბოლოს, დრამის შემდეგ, წარმოდგინეს დრამატიული ეტიუდი „გულმა იგრანო“. ჩვენი სასახელო არტისტის, ბატ. აბაშიძისა და ქ. ბ. საფაროვის თამაშობამ, ახალგაზდა, ცქრილა ქალის როლში, განუსაზღვრელს აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და ესტეტიურის სიამოვნებით დაატყბო მაყურებელთა გული. ხალხი თავ შეუკავებელისა და ხანგრძლივის ტაშის ცემით ასაჩუქებრდა არტისტებს. —

27 სექტემბერს.

— 9.

აწ მინდა

..... აწ მინდა. რომ ვემსახურო,
 მტრის ბძანების ვიყო მონა,
 თუნდ მახუქონ უთვალავი
 ქვეუნის განძი, ქვეუნის წონა.

იქ, სადაც რა სინიდისა
ჭეიდიან და ეიდულობენ,
და ჭემპარიტს სასარებას
უკუღმართად კითხულობენ.

იქ, სადაც რა წმინდა გრძნობას
გესლიანის ერთ შლიან,
წინ ლამპარსა უნათებენ,
უკანდამ თვალს აცლიან!...

იქ, სადაც რა მამლარი სუსტს
უკანასკნელს ლუკმას აცლის,
და, რაც ძალით მეუძლიან,
ერთ სელეჩო თავისკენ სთლის!

იქ, სადაც რა ქვეუნი ბუშას
ერჩიან, ხელს უცარავენ
და მათის ტკბილ ბულბულსა
აჩუმებენ, ჰირს უკრავენ!...

დ. გ.

ნატოს სულის მღვდელმთავრება

(ეს სიოლოგიური ეტიუდა.)

„მე თეატრის ზალაში ოცდა ხუთს მარტს გამართული
იქნება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. მონაწილეობას

მიიღებენ ქქ. № № და ბბ. № № დასხვანი. სალიტერატურო განყოფილებაში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ჩვენი საყვარელი ყმაწვილი მწერალი სიმონ დავითიშვილიც. “

უკანასკნელი სიტყვა, ძრიელ მარტივი ყველასთვის, ფრიად ძრიელი და მწვავე შეიქმნა, პატარა კვლუტი თვრამეტის წლის ნატალიასთვის, როდესაც ამოიკითხა გაზეთში.

სიმონ დავითიშვილი დიდის ასოებით აწყობილი განცხადებაში, გაზეთის პირველ გვერდზედ, პირველად ათამაშდა ნატოს თვალში, შემდეგ გაერცვლა, გადიდდა, გაგანიერდა და უზარმაზარი შეიქმნა. ულონო იყო თვალი მოეშორებინა იმისთვის და აზრი სხვაზედ გადაეტანა რაზედმე. სიცილი, ტრილი, აღტაცება, ჭმუნვა და მრავალი გულის თქმა წაძის წემ იცვლებოდა ნატალიას პირისახეზედ.

— ოცდა ხუთს! დღეს რა არის? ხუთშაბათი. მაშ კვირას?... დიახ, დიახ, კვირას ოცდა ხუთია. კვირამდინ სამი დღეა. სამი დღე... რა საშინელი მანძილია! სად მოვიპოვო საკმ.ო მოთმინება?... ნეტა რას წაიკითხავს, რას იტყვის ახალს? რა გამოხატულობა ექმნება იმის პირი-სახეს? როგორ მიიღებს იმას საზოგადოება?... ოჰ, აღტაცებით! საზოგადოებას ის უყვარს, მაშ რად არის იმისი სახელი აფიშაში დიდის ასოებით აწყობილი. დიახ, დიახ, საზოგადოებას ის უყვარს, დაულალავად ტაშს დაუკრავს... მაგრამ რომ შეკრთეს, აირიოს... ხმამ რომ უმტყუნოს? მეტყველება რომ არ დანებდეს?... არა. ეს შეუძლებელია. ის არ გამოვიდოდა სცენაზედ, რომ თავის იმედი არა ჰქონდეს.

მე დარწმუნებული ვარ იმის გამარჯვებაში. მე გულით ვილოცებ იმის გამარჯვებისათვის... მე ისე მსურს იმისი გამარჯვება, რომ მგონია, ეს სურვილიც საკმარისია, რომ იმან გაიმარჯოს... ოჰ, მაშინ მე რა მომივა?... გონებას დავკარგავ? გაუცინებ? ცრემლებს გადმოვყრი? არა. მე არც ერთის ნება არა მაქვს. მე მხოლოდ ჩემ ხელებს ერთმანერთს მაგრა გადავქდევ, კბილებს მოუჭერ და ჩემს თავს ნებას არ მივცემ რამე დავიმჩნიო... და თუ ის მომიგონებს და მოვა ჩემთან,

რას ვეტყვი მაშინ?—არაფერს. სიტყვის თქმა ჩემგნით შეუძლებელი იქნება, იმიტომ რომ რაც უნდა უთხრა მართალი თუ ტყუილი, სულელური თუ ბრძნული, ყოველივე გაამხელს ჩემი გულის პასუხს და ეს ხომ შეუძლებელია... შეუძლებელია, იმიტომ რომ მე არ ვიცი ის როგორ მიიღებს... იქნება... არა... არა...

ამ ფიქრებში იყო ნატილია მრთელი სამი დღე. ნაზი წაბლისფერი თვალები არა ჩვეულებრივის შუქით უბრწყინავდა; ყოველი სახის ასო რაღაც ნაირის მგრძნობიარების მოძრაობით ჰქონდა საესე. ის ხან ილიმებოდა თავისათვის, ხან ჩაფიქრებული იყო, ხან მთელის საათობით სდუმდა და ხან ხმა შეუწყვეტლივ კიკიკებდა. მადა სრულიად დაჰკარგოდა, არავითარი საქმე ამ სამ დღეში თვალი არ ენახა. უსაგნოდ, უმიზეზოდ შედიოდა—გადიოდა და ყოველ იმის მოძრაობას მოუთმენლობა ეტყობოდა,

აი გათენდა კვირა დღეც. დღეს ნატოს ფერსაც ძალზედ დაეტყო დაღალულობა და სამი დღის უძილობა. გარეგანმა მღელვარებამ თითქო იკლო და შინაგანი გრძნობა უფრო ჩაღრმავდა. ცქრიალა, მხიარული ბავშვი ნატო უცებ დედაკაცათ იქცა. მის ხუმრობით დაწყებულ ტრფიალებას დარბაისლური ფერი მიეცა. მისი სატრფო განსაცდელში იყო, პირველად საზოგადო ასპარეზზედ უნდა გამოსულიყო და ამ შემთხვევამ ნატოს თვალში იგი გმირად აქცია. საღამოს ექვს საათზედ, ნატო დიდის ყურადღებით შეუდგა არა მოულოდნელის შემთხვევისთვის მორთვას, თავისი საუკეთესო კაბა გადმოიღო, დიდის მოფიქრებით და გულის ხმიერებით შეახმა თვისი მორთულობა და სარკეშიაც, არა ჩვეულებრივ, დიდხანს ათვალიერა თავისი სახე.

— ნეტა ერთის საათით, რამდენისამე წამით მშვენიერებად მაქცია, ამოიოხრა ნატომ. — მხოლოდ იმ წამების განმამაგებლობაში, როდესაც ის სცენაზედ იქნება, რომ ჩემმა სიმშვენიერემ ძალა გაუორკეცოს, სიტყვა დაუტკბოს, გონებას სიმახვილე მიუტყეს და გრძნობას სითბო შემატოს.

ოჰ ეს წყევლი ჩემი პაწია ტანი! რა იქნებოდა იმ დალოცვილ ღმერთს ცოტაოდნად წამოსადევი გავეჩინე... მაგრამ ამეების სამაგიეროდ მე ცოტაოდენი, არა—ცოტაოდენი კი არა, განუსაზღვრელი, სიყვარული მაქვს მისი. განა ეს საკმაჩისი არ არის, რომ ჩემმა სურვილმა, იმას გამარჯვება მოუტანოს?..

ნატო თუმცა მთელის თვისი არსებით მიეშურებოდა თეატრში, მაგრამ მინც დაუგვიანდა. თეატრის დარბაზი მთლად გატენილი იყო, როდესაც ნატო მოლიმარი, მშვენიერი ტრფიალების ეშხით, გემოვნებით მორთული, გულის საშინელის ძაგაძეგით დაეშვა თავის სკამზედ.

რა მშვენიერი რამ იყო დღეს ეს თეატრი ნატოს თვალში რა ტკბილი სახეები აქვთ ყველა აქ მყოფთ ქალსა და კაცს! რა მშვენიერად არიან დართულნი, რა სასიამოვნო გულ მხურვალეა, რა ბრწყინვალედ ანათებს ზვიდგან გადმოიყურებრკეყიალა ხომლი!

ფარდა აიხადა. ვილაცამ მღერა, შემდეგ ლექსები წაიკითხეს, მერე ფორტოპიანზედ დაუკრეს, კიდევ წაიკითხეს და პირველი განყოფილება გათავდა. ნატო ყველას აღტაცებით ტაშს უკრაედა, თუმცა გაგონებით, ძნელი სათქმელი იყო, გაიგონა რამე თუ არა.

ხალხი აირია. ყველა კარში მიეშურებოდა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავათ და ერთმანერთის აზრის გასაზიარებლად. ნატალია კი თითქო დაეკრა თავის ალაგს და მთელ თავის ძაღლონეს იკრეფდა საშინელის მღელვარების შესამაგრებელად. რამდენისამე წაპის შემდეგ სეიმონი გამოვა, გამოვა, პირველად სცენაზედ... ოჰ, გულო, დასცხრა, ნუ გეშინის, ის უთუოთ თავს იჩენს და თუნდა კიდევ არ ივარგოს ვითომ რაო! განა ის ჩემ თვალში არ შემთხვევით დამცირდება?.. არა, ის რაც არის ისევ ის იქნება ყველგან და ყოველთვის, რა შემთხვევაშიაც უნდა იყოს... მაგრამ იმის გამარჯვება რა რიგით მიწდა... ტაში, რომელსაც იმას დაუკვრენ, საუკეთესო მუსიკა იქნება ჩემის ყურისათვის... ქებო



რომელსაც იმას უძღვნის საზოგადოება დამაგვირგვინებელი იქნება ჩემის უსამზღვრო თაყვანისცემისა მის წინაშე... იმის კითხვის შემდეგ, რომ სრული სიჩუმე, ან შტეენა გაისმას თეატრში? მე დედამიწაში ჩაძოვას ვარჩევ მაშინ, მაგრამ არა... მე ვივალ, მაგრა ხელს ჩაძოვართმევ, ტკბილად ჩაზედავ ჩემ ძვირუფას შეთვალეებში და ნუგეშსა ვცემ... შეძღვებისთვის გაეპხნევენ.

სანამ ნატალია ამ მწვავ ფიქრებში იყო და ცახცახით ფარდის ახდას მოელოდა, გაისმა ზარის წკრიალი, ხალხი შეიკრიფა და დალაგდა დარბაზში, უცებ ფარდას წინ გამოდგა ეილაცა საღამოს გამართველთაგანი და ხმა მალლა, მკაფიოდ სთქვა: ჟეათმტყოფობისაგამო სვიმონ დავითიშვილი დღეს კონცერტში ველარ მიიღებს მონაწილეობასო.

ნატალიას წამოხტომა უნდადა, თითქო კიდევ უნდა შეეკვილა, მაგრამ ორთავე ამ განზრახვას დედაკაცური მორცხობით დასძლია და უძრავად დარჩა თავის ალაგზედ; მხოლოდ ორავ ხელები თვალეებზედ მიიფარა, რომ იმისი გულ საკლავი პირი სახის გამომეტყველება არავის დაენახა.

— ავად არის ის! ავად ორის, რითი? სადამდინ ძრიელია მისი ავამტყოფობა? შეუწყვეტლივ ეკითხებოდა ნატო თავის თავს. ავად არის—ეს სიტყვები გულის ძარღვებს გაწყვეტას უპირებდა, თვალეებიდან ნაპერწკლებს აყრევივებდა,

სამი დღის უძილობა, სამი დღის ზნეობრივი ტანჯვა, იმის მოლოდინით, თუ თავს როგორ იჩენდა საყვარელი კაცი, რა იყო იმასთან შედარებით, რაც ამან რამდენსამე წამში ტანჯვა გამოიარა იმისი შიშით, თუ რა მდგომარეობაშია იმისი ჯანმრთელობა. ჟღმერთო, მაცხოვარო, საიდგანმე მომივლანე იმისთანა ადამიანი, რომ სვიმონის ამბავი ვკითხოვ^მ სიმწარით ბუტბუტებდა ნატალია.—ნუ თუ შესაძლებელია ამ ჯოჯოხეთით გულში დავყო რამდენიმე ხანი. მე ეიცი საცა ისა სდგას... განთიადზე გაეიპარები, მეკარეს ვკითხავ იმის ამბავს... მაგრამ განა ეს შესაძლოა, გასათხოვარა ქალი, ყმაწვილ კაცთან. რატომ?... არა!.. მაშ რა ვქნა?

კონცერტი გათავდა. ხალხი აიშალა. ზალაში ქრიაშული ასტყდა ტაში, სიცილი, ბრავოს ძახილი ერთმანერთში ირეოდა. ხალხი გარედ გასასვლელად, მიეშურებოდა. ნატოც ადგა, იმას თა-



ესბრუ ეხვევოდა, დერეფანში გავიდა. იქ საშინელი ჰყვოდა იყო პალატების ჩასაბარებლად. ნატოს მუხლთ ეკეცებოდა, თვალთ უბნელდებოდა და კედელს მიეყუდა. „ჰო ღმერთო, ღმერთო, თითქმის ხმა მალლა ამოიკვესნა იმან, ნუ თუ ისე უნდა წავიდე, რომ იმისი ანბავი ვერ შევიტყო, ოჰ, არ შემოძლიან, საცაა წავიქცევი... მიშველეთ თვალთ მიბნელებმა. ნატო წაბარბაცდა „ბატ. ნატალია, რა დაგმართვიათ, ხელი მიბოძეთ“. ეს სიტყვები ვილაცამ წაუბუტბუტა ნატალიას და ღონიერის მკლავებით შეიმავრა ქალი წაქცევისაგან.

.. სვიმონ!.. შენა?!. განა ავად არა ხარ? ამ ორ სიტყვაში ნატალიამ გადასცა სვიმონს მთელი თავისი გულს მწუხარება, სინარული, ბედნიერება, წარსული, აწმყო და მომავალი. სვიმონმა მხოლოდ თავი ძირს დაიღო და ნეტარების ნიშნად მოწიწებით ნატოს ხელს ემთხვია.

გვ. გაბაშვილისა

1886 წელსა.

სტატიაში „სამოცხან წლების იდელები და მათი პატრონები,“ (თეატრი № 19, 20 და 21) სსკათა შორის, შემდეგი კონკრეტული შეცდომები. საჭიროდ ესთვლით შეკასწოროთ:

გვ. 8, სტრ. 6. სწერია: „ეს საინტერესო მოკვლეობა ჩვენ შიაც იჩენს თავს,“ უნდა იყოს: ეს საინტერესო მოკვლეობა ჩვენ შიაც იჩენს თავს.“

გვ. 9, სტრ. 2. სწერია: „არავითარნი წესი, არავითარნი რიგი, საზოგადო ცხოვრებაში სმარებული კანონი აღარ აქვს,“ უნდა იყოს: „არავითარ წესს, არავითარ რიგს, საზოგადოდ ცხოვრებაში სმარებულით გასავალი არ აქვს.“

გვ. 12, სტრ. 18. სწერია: „უითომც და გუშინ-წინეი სსკა ნაირად ქადაგობდა,“ უნდა იყოს: უიდეომცდა გუშინწინ-ეი სსკა ნაირად არ ქადაგობდა.“

გვ. 15. სტრ. 12. სწერია: „არ ფიქრობენ, ამ მდგომარეობას თავი დაახწიონ მანც, რომ მთის გადაღმიდამ მოსული პირები არიან,“ უნდა იყოს: და სრულიად არ ფიქრობენ, ამ მდგომარეობას თავი დაახწიონ. მანც, რა მთის გადაღმიდამ მოსული პირები არიან...“

რედაქტორ-გამომცემელი აღიქმასხდრე ნებავრამიქ.